



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირთავა

“11” იანვარი 2019 წელი

N 7/36

ეგზ: N1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2017
წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული
პროგრამის - „სოციალური უზრუნველყოფა“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი	
შემოკლებები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....	4
შესავალი	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის საგანი	6
აუდიტის მასშტაბი	7
აუდიტის კრიტერიუმები	7
აუდიტის მიზანი	7
აუდიტის მეთოდოლოგია	8
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	8
აუდიტის მიგნებები.....	9
პროგრამული ბიუჯეტი	9
ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	10
სახელმწიფო შესყიდვები.....	12
ბაზრის კვლევაში არსებული ხარვეზები.....	12
სასადილოების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაში დაშვებული ნაკლოვანებები	14

შემოკლებები

მუნიციპალიტეტი – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

მერია – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია;

სამსახური – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;

სააგენტო – ა(ა)იპ – ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო;

პროგრამა – „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამა.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „სოციალური უზრუნველყოფა“ შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს არ გაუანალიზებია 2016-2017 წლებში განხორციელებული „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამის საბოლოო შედეგები და არ განუსაზღვრავს შემაფერხებელი გარემოებები;
- 2016-2017 წლებში „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების არასაკმარისი მონიტორინგის შედეგად, გარდაცვლილ ბენეფიციართა მომსახურების შესახებ, მიმწოდებლების მხრიდან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის გათვალისწინებით, რისკის შემცველია ქვეპროგრამით დაგეგმილი სოციალური სერვისების ბენეფიციარებისათვის ფაქტობრივად მიწოდება და შესაძლოა, საბიუჯეტო სახრები არამიზნობრივად იხარჯებოდეს;
- 2016-2017 წლებში სააგენტოს მიერ შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების მიზნით არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა, რის შედეგად, არასწორად ხდება ბიუჯეტის და შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა. ასევე სავარაუდო ღირებულების მაღალი თანხით განსაზღვრა წარმოშობს თანხების არარაციონალური ხარჯვის რისკებს;
- სააგენტოს პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიბარეს ხარვეზით განხორციელებული სარემონტო სამუშაოები, ასევე საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად არ გამოიყენეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, რაც სამომავლოდ გამოიწვევს დამატებით ფინანსური რესურსების ხარჯვას.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გაცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1. პროგრამის/ქვეპროგრამის შეუსრულებლობის დროს შესაბამისი სამსახურის მიერ გააანალიზდეს მისი გამოწვევი მიზეზები, განისაზღვროს ხელშემშლელი გარემოებები და დაიგეგმოს მისი აღმოფხვრის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულ პროგრამის/ქვეპროგრამის შემუშავებას და დაფინანსებას;

რეკომენდაცია №2. ბათუმის მუნიციპალიტეტმა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფისათვის, გააძლიეროს „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა

დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობებისა და გამოყოფილი თანხის ხარჯვის მონიტორინგი. ასევე არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და სხვა რისკების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები;

რეკომენდაცია №3. სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე, უზრუნველყოს შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს შესყიდვების სწორად დაგეგმვას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას;

რეკომენდაცია №4. სააგენტომ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) უზრუნველყოს შესყიდული სამუშაოების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიღება და დააწესოს ინტენსიური კონტროლი მიღებულ სამუშაოებზე. ამასთანავე, საგარანტიო პერიოდში არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „სოციალური უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი: 06 02) შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის – „სოციალური უზრუნველყოფა“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 16,323,616 ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
- ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №35 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №20 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- სხვა დაწესებულებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზი.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ს/კ 245576826), რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში პროგრამის – „სოციალური უზრუნველყოფა“ განმახორციელებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც, თავის მხრივ, ქვეპროგრამებს ასრულებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის და ა(ა)იპ – ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს მეშვეობით. პროგრამის მიზანია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ფინანსური რისკების შემცირება. პროგრამის ფარგლებში 2016 წელს განხორციელდა 8 ქვეპროგრამა, ხოლო 2017 წელს – 7 ქვეპროგრამა. კერძოდ:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
- მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა¹;
- მუნიციპალური უფასო სასადილო;
- დროებითი ღამის თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა.

¹ აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდა მხოლოდ 2016 წელს.

აუდიტის მიგნებები

პროგრამული ბიუჯეტი

კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითი პროცესია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ, რისთვისაც მნიშვნელოვანია მიღებული შედეგების სწორად გაანალიზება.

გარემოება: 2016-2017 წლებში პროგრამის – „სოციალური უზრუნველყოფა“ დაზუსტებულმა ბიუჯეტმა ჯამში შეადგინა 16,927,822 ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – ჯამში 16,323,616 ლარი. პროგრამის შესრულება წლების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი №1. პროგრამა „სოციალური უზრუნველყოფა“, 2016-2017 წლების ბიუჯეტი (ლარი)

დასახელება	წელი	ბიუჯეტი	შესრულება	სხვაობა
სოციალური უზრუნველყოფა	2016	8,057,779	7,697,358	360,420
	2017	8,870,043	8,626,258	243,785
ჯამი:		16,927,822	16,323,616	604,205

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016-2017 წლებში სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში ჯამში აუთვისებელი დარჩა 604,205 ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგი ქვეპროგრამების არასრული ათვისებით, კერძოდ: მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამაში, რომლის მიზანი იყო მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის ფინანსური რისკების შემცირება, დაგეგმილი 2,354,200 ლარიდან აუთვისებელია 152,120 ლარი; მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება, რომელიც ითვალისწინებდა სოციალურად დაუცველი 0-70000 ქულის მქონე პირების, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, შშმ პირების, პენსიონერების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას, დაგეგმილი 3,083,400 ლარიდან აუთვისებელია 125,747 ლარი, მუნიციპალური უფასო სასადილო, სადაც ხორციელდება სიდატაკის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა, დაგეგმილი 5,809,700 ლარიდან აუთვისებელი დარჩა 148,862 ლარი და სხვ., რომელთან დაკავშირებით მერიის შესაბამისმა

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია ქვეპროგრამებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა შედარებით დაბალი მიმართვიანობით. თუმცა აუდიტით გამოვლინდა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ არ ხდება პროგრამის შესრულების შუალედური და წლიური შედეგების შეფასება, მისი შეუსრულებლობის გამოწვევი გარემოებების ანალიზი და აღმოფხვრის ღონისძიებათა გატარება. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით მოსარგებლე პირების კატეგორია მრავალფეროვანია და მათი უმეტესობა სოციალურად დაუცველები არიან, შესაბამისად, ქვეპროგრამებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მერიის მხრიდან განხორციელებული ქმედებები – არასაკმარისია.

დასკვნა: „სოციალური უზრუნველყოფის“ პროგრამის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ თითოეული ქვეპროგრამის შეუსრულებლობის დროს, შესაბამისი სამსახურის მიერ არ ხდება შესაბამისი ანალიზის გაკეთება და შემაფერხებელი გარემოებების განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწორად დაგეგმვისათვის. ამასთანავე არ ხდება პროგრამით დაგეგმილი აქტივობების პოტენციურ მოსარგებლეთა საკმარისი ინფორმირება.

რეკომენდაცია №1: პროგრამის/ქვეპროგრამის შეუსრულებლობის დროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელდეს მისი გამოწვევი მიზეზების გაანალიზება, განისაზღვროს ხელშეშლელი გარემოებები და დაიგეგმოს მისი აღმოფხვრის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულ პროგრამის/ქვეპროგრამის შემუშავებას და დაფინანსებას.

ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება

კრიტერიუმი: „უზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების თანახმად, მიმწოდებლები ვალდებული იყვნენ მომსახურება გაეწიათ ქრონიკულად დაავადებული, ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე ან/და საწოლს მიჯაჭვული ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 0-დან 100000-მდე ქულის მქონე ბენეფიციარისთვის, შშმ პირებისთვის, ასაკით პენსიონერებისთვის.. ისინი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ მედიკამენტებით, ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (განათლება, უნარების განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება), პაციენტებისა და ახლობლების ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შესაქმნელად, ასევე საჭირო

სერვისების მისაღებად). ქვეპროგრამით² და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო 90 ბენეფიციარისათვის სოციალური სერვისების მიწოდება.

გარემოება: 2016-2017 წლებში „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება, რომლის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენდა ჯამში 135,044 ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ ჯამში შეადგინა 134,701 ლარი.

2016 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული მომსახურებისათვის მერიამ ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ქირურგიულ კლინიკა SALVE-ს“, ხოლო 2017 წელს – ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასს“. ბენეფიციარების ვიზიტთან დაკავშირებით, მიმწოდებლები ადგენდნენ შესაბამის დოკუმენტაციას, სადაც ჩამოთვლილია გაწეული მომსახურება და გადაცემული წამლების სახეობა და ოდენობა. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმებით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მიმწოდებელი აღნიშნავს ბენეფიციართან ვიზიტს და შესაბამისი მომსახურების გაწევას, თუმცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოვლინდა 6 შემთხვევა³, როდესაც ბენეფიციარი იმ დროისათვის გარდაცვლილი იყო და შესაბამისად, ვერ მიიღებდნენ სოციალურ სერვისებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა, პროგრამით გათვალისწინებული სერვისები, განუხორციელებლობის პირობებში, საბიუჯეტო სახრების არამიზნობრივად დაიხარჯას.

წარმოდგენილი დოკუმენტებით, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ადასტურებს ბენეფიციარებისათვის ხელშეწყობას, წამლების მიწოდებას და პროგრამით გათვალისწინებული სხვა სოციალური სერვისების მიწოდებას, ზრდის რისკებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის რეალობაზე. მერიის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიუხედავად ინტენსიური შერჩევითი შემოწმებისა, მსგავს ფაქტს ვერ გამოიციხავენ, რადგან არ აქვთ ინფორმაცია შესაბამისი უწყებიდან ბენეფიციართა გარდაცვალების შესახებ, რის გამოც დაშვებულ იქნა ხარვეზი მონიტორინგის განხორციელებაში. თუმცა აღნიშნული განმარტება ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან მუნიციპალიტეტს შეეძლო სახელმწიფო სერვისების

² ქვეპროგრამა – „მზრუნველობა მოკლებულ და მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური პირობების გაუმჯობესება“.

³ 2016 წელს შპს „ქირურგიულ კლინიკა SALVE-ს“ მომსახურებისას – 2 შემთხვევა, ხოლო 2017 წელს ა(ა)იპ – „საქართველოს კარიტასის“ მომსახურებისას – 4 შემთხვევა. ორივე წლის მომსახურების საშუალო ღირებულება შეადგენს 31 ლარს, 6 შემთხვევისათვის – 186 ლარი.

განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ზემოაღნიშნული შეუსაბამოების გამოვლენა და მასზე რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ შპს „ქირურგიულ კლინიკა SALVE-ს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში არ არის სრულყოფილი და არ ასახავს მერიის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, კერძოდ: არ არის ბენეფიციართა ხელმოწერა, რითაც დასტურდება ვიზიტის დროს გაწეული მომსახურება, არაზუსტია ბენეფიციართა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ასევე არ ირკვევა, თუ ვინ განახორციელა ვიზიტი ბენეფიციართან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებული სოციალური მომსახურების მიწოდების რეალობა მაღალი რისკის შემცველია.

დასკვნა: 2016-2017 წლებში „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების არასაკმარისი მონიტორინგის შედეგად, გარდაცვლილ ბენეფიციართა მომსახურების შესახებ მიმწოდებლების მხრიდან არასწორი ინფორმაციის წარმოდგენის გათვალისწინებით, რისკის შემცველია ქვეპროგრამით დაგეგმილი სოციალური სერვისების ბენეფიციარებისათვის ფაქტობრივად მიწოდება და შესაძლოა, საბიუჯეტო სახრები არამიზნობრივად დაიხარჯა.

რეკომენდაცია №2: ბათუმის მუნიციპალიტეტმა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფისათვის, გააძლიეროს „მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობებისა და გამოყოფილი თანხის ხარჯვის მონიტორინგი. ასევე არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და სხვა რისკების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები.

სახელმწიფო შესყიდვები

ბაზრის კვლევაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს ბაზრის კვლევას, შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრების, მახასიათებლების ჩამოყალიბებას და სავარაუდო ღირებულების დადგენას. ამ პროცესის სათანადოდ წარმართვა უზრუნველყოფს შესყიდული საქონლის/მომსახურების მისაღებ ხარისხს და ფასს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით და

შესყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია ბაზრის კვლევის ჩატარება⁴.

გარემოება: სააგენტოს მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით შესყიდული აქვს საკვები პროდუქტები და საყოფაცხოვრებო საქონელი, რომელთა საბაზრო ღირებულება ხშირად ცვალებადია. სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესასყიდი საქონლის სავარაუდო განსაზღვრის მიზნით ჩატარებული ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე განხორციელებული შესყიდვების ანალიზით დადგინდა, რომ სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სავარაუდო ღირებულება ბევრად მაღალია რეალურად მიწოდებული საქონლის ღირებულებასთან. კერძოდ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში განხილულია ერთი და იმავე კატეგორიის საქონლის შესყიდვები.

ცხრილი №2. 2016-2017 წლებში ერთი და იმავე კატეგორიის საქონლის შესყიდვები (ლარი)

№	მიმწოდებელი	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	ღირებულება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის გათვალისწინებით	სხვაობა (სავარაუდო ღირებულებასა და ფასწარმოქმნის ღირებულებას შორის)
1	ი/მ შალვა ლეონიძე	511,825	364,709	283,152	228,673
2	შპს „სანაპირო 2012“	463,910	356,444	284,740	179,170
3	შპს „ნიკა“	33,340	25,135	18,521	14,819
ჯამი:		1,009,075	746,288	586,413	422,662

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავარაუდო ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის სხვაობა 38%-იდან 45%-მდე მერყეობს, რაც ნიშნავს, რომ სამივე შესყიდვის შემთხვევაში, ჯამში 422,662 ლარით გაზრდილია სავარაუდო ღირებულება. აღნიშნული დაგეგმვის ეტაპზე ბაზრის კვლევის არარსებობის შედეგია. მართალია, აღნიშნულ შესყიდვებში ვაჭრობის შედეგად შემცირდა სავარაუდო ღირებულება, მაგრამ ეს არ გამოირიცხავს მომავალში თანხების არარაციონალურად ხარჯვას.

დასკვნა: 2016-2017 წლებში სააგენტოს მიერ შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების მიზნით არ არის ჩატარებული ბაზრის კვლევა, რის შედეგადაც არასწორად ხდება ბიუჯეტის და შესყიდვების წლიური გეგმის შედგენა, ასევე სავარაუდო ღირებულების მაღალი თანხით განსაზღვრა წარმოშობს თანხების არარაციონალური ხარჯვის რისკებს.

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

⁵ 03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული.

რეკომენდაცია №3: სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე, უზრუნველყოს შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, რაც ხელს შეუწყობს შესყიდვების სწორად დაგეგმვას და საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას.

სასადილოების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაში დაშვებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელ დაცვაზე, არ მიიღოს ნაკლის მქონე სამუშაოები და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადის ეფექტიანად გამოყენება.

გარემოება: სააგენტოს მიერ 2016 წელს 5 სასადილოს რემონტისათვის გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁶. ვაჭრობის შედეგად, ხელშეკრულება⁷ გაუფორმდა ი/მ ქებულ აბაშიძეს, სახელშეკრულებო ღირებულებით – 165,543 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდებოდა საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, ასევე გათვალისწინებული იყო შესრულებული სამუშაოს საგარანტიო პერიოდი – 24 თვე.

წარმოდგენილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს 165,021 ლარის სამუშაოები, თუმცა აღნიშნულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სამხარაულოს მოწყობის სამღებრო სამუშაოები უკვე დაზიანებულია ნალექების გამო და მისი ჩათვლა დამკვეთის პრეროგატივას წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტოს არ უმსჯელია არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები და მიმწოდებლისათვის ანაზღაურებულ იქნა საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული ღირებულება. აღსანიშნავია, რომ საგარანტიო პერიოდში, სააგენტომ ორჯერ⁸ მიმართა მიმწოდებელს სხვადასხვა დაზიანების აღმოფხვრის მიზნით, თუმცა დოკუმენტურად და ასევე ინტერვიუებით, არ დასტურდება მიმწოდებლის მხრიდან გატარებული კონკრეტული ღონისძიებები. ასევე შემსყიდველსაც არ გამოუყენებია შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმები⁹. მიუხედავად იმისა, რომ საგარანტიო პერიოდი დასრულდა 2018 წლის მაისისში, აუდიტის ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა სასადილოების სარემონტო სამუშაოები და

⁶ SPA 150031810.

⁷ ხელშეკრულება №110, 2016 წლის 18 იანვარი.

⁸ სააგენტოს 2016 წლის 18 ოქტომბრის №121 და 2017 წლის 25 მაისის №122 წერილები.

⁹ სასამართლოში მიმართვა, ზარალის ანაზღაურების მიზნით.

გამოვლენილ იქნა ისეთი ნაკლოვანებები, რისი აღმოფხვრაც საგარანტიო პერიოდში შესაძლებელი იქნებოდა.

სურათები №1. სასადილოებში დაზიანებული კედლები



დასკვნა: სააგენტოს პასუხისმგებელმა პირებმა, ჩაიბარეს ხარვეზით განხორციელებული 165,021 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები, ასევე საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, არ გამოიყენეს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, რაც სამომავლოდ გამოიწვევს დამატებით ფინანსური რესურსების ხარჯვას.

რეკომენდაცია №4: სააგენტომ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) უზრუნველყოს შესყიდული სამუშაოების, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით მიღება და დააწესოს ინტენსიური კონტროლი მიღებულ სამუშაოებზე. ამასთანავე, საგარანტიო პერიოდში არსებულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გამოიკვლიოს მათი გამომწვევი მიზეზები და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

ირაკლი ანანიძე
(წამყვანი აუდიტორი)

ავთანდილ აბაშიძე
(აუდიტორ-ასისტენტი)

10 იანვარი 2019 წელი

